საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1692/01
13/02/2020

1692-01-2-202002131318

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 19 დეკემბრის წერილი (N18590), რომელიც ეხება „მდ. მალთაყვადან მდ. სუფსამდე გზის მშენებლობა-ექსპლუატაციის (საერთაშორისო ე–70 სენაკი–ფოთის (შემოვლითი) საავტომობილო გზის ნაწილი – სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზა - ლოტი 2, ეტაპი 3)“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში წარმოდგენილი პროექტთან დაკავშირებით გამოიკვეთა საკითხები, რომელიც საჭიროებს დაზუსტებას და გზშ-ის ანგარიშში ასახვას:

- გზშ-ის ანგარიშში არ არის განხილული გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება და არ არის მოცემული შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, რაც წარმოდგენილი დოკუმენტის მნიშვნელოვანი ხარვეზია;

- გაურკვეველია და დაზუსტებას საჭიროებს გზშ-ის ანგარიშში მოცემული ალტერნატივები, კერძოდ:
    - გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ალტერნატივა 2 და 3 ერთმანეთს ემთხვევა. აღნიშნულთან დაკავშირებით გაუგებარია თუ ალტერნატივა 2 და 3 ერთმანეთს ემთხვევა და შეფასებაც ორივეს შემთხვევაში საერთოა, რა პრინციპით იქნა განხილული საპროექტო გზის სამი ალტერნატივა და არა ორი;
    - გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ალტერნატივების ანალიზის და უპირატესობის განსაზღვრის კონკრეტული მეთოდი, რომელიც ხარისხობრივი შეფასებების რაოდენობრივში გადაყვანას ეფუძნება და მოცემულია ალტერნატივების რაოდენობრივი შედარების ცხრილი. ცხრილში წარმოდგენილი გარემოს კომპონენტების შეფასებით კი შეირჩა ალტერნატივა 1. აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ მოცემულ კომპონენტებში არ არის განხილული და შეფასებული ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე (ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელმაც შესაძლებელია გადაწონოს ამა თუ იმ ალტერნატივის შერჩევის საკითხი).

- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია გზის და ხიდის პარამეტრების შესახებ. კერძოდ საპროექტო გზის პარამეტრების ცხრილში (და არც შემდგომ გზშ-ის ანგარიშში) არ არის მოცემული ინფორმაცია გზის სიგრძის შესახებ (გზშ-ის ანგარიშის ცხრილში 2 (ალტერნატივების სიგრძეები) მოცემულია მხოლოდ პიკეტაჟები). საპროექტო ხიდების შემთხვევაში, მდ. მალთაყვაზე ხიდისთვის მოცემულია მხოლოდ სიგრძის (240მ), ხოლო მდ. კაპარჭაზე ხიდისთვის მხოლოდ სიგანის (330მ) შესახებ ინფორმაცია;

- წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, სამუშაოების დაწყებამდე კონტრაქტორი განსაზღვრავს/დააზუსტებს სამშენებლო ბანაკის, ტექნიკის და მასალის განთავსების ტერიტორიებს. გაცნობებთ, რომ სამშენებლო ბანაკის ტერიტორიასთან დაკავშირებული ინფორმაცია და ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშში;

- საპროექტო გზის ელექტრონული და ვიზუალური დათვალიერებიდან დგინდება, რომ დერეფნის ფარგლებში ხვდება კერძო საკუთრებები (მათ შორის სახლები). გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია გასხვისებას ან/და განსახლებას დაქვემდებარებული ადგილების და მათი რაოდენობის შესახებ. გზშ-ის ანგარიშში მხოლოდ ზოგადადაა აღნიშნული, რომ განსახლებასთან დაკავშირებული ინფორმაცია მოცემულია ცალკე დოკუმენტში „განსახლების სამოქმედო გეგმა“, რაც თან არ ახლავს გზშ-ის ანგარიშს, შესაბამისად გაურკვეველია განსახლებით ან/და გასხვისებით გამოწვეული სოციალური ზემოქმედების საკითხი. ზემოაღნიშნულიდან, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის მაღალი ინტერესიდან გამომდინარე მოცემული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას და გზშ-ის ანგარიშში ასახვას;

გზშ-ის ანგარიშის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინისტროს წარმომადგენლის მიერ საპროექტო დერეფნის დათვალიერების შედეგად გამოვლინდა საკითხები, რომლებიც გზშ-ის ანგარიშში არ არის გათვალისწინებული, კერძოდ:

- საპროექტო გზის ბუფერის გარკვეული ადგილები კვეთს ან ემთხვევა მიმდებარედ გამავალ ელექტროგადამცემ ხაზს. ამასთან გზის მშენებლობის დროს აღნიშნულ ინფრასტრუქტურასთან თანხვედრის გათვალისწინებით გზშ-ის ანგარიშში მოცემული არ არის შესაბამისი ტექნიკური გადაწყვეტის შესახებ ინფორმაცია;

- საპროექტო დერეფნის დათვალიერების შედეგად საპროექტო გზის ბუფერის უშუალო სიახლოვეს რამდენიმე ადგილას დაფიქსირდა საკომუნიკაციო ანძები, რომელთან დაკავშირებითაც კითხვები დაისვა საჯარო განხილვაზეც. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია არ არის მოცემული გზშ-ის ანგარიშში;

- საპროექტო დერეფნის ერთ-ერთი მონაკვეთი (GPS კოორდინატები (UTM) : 37T 726504 4658138) გადის სასაფლაოზე. აღსანიშნავია, რომ მოცემული საკითხის ირგვლივ დაინტერესება იყო საჯარო განხილვაზეც. ადგილობრივების ინტერესიდან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებს ამ მონაკვეთში ახალი გზის გატარების საკითხი.

ზემოაღნიშნული შენიშვნებიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი საპროექტო დერეფნის აღწერა ზოგადი ხასიათისაა და საჭიროა უფრო მეტი დეტალიზაცია.

გზშ-ის ანგარიშში ბიოლოგიური გარემოს საველე კვლევები არასაკმარისადაა წარმოდგენილი, კერძოდ:

- ანგარიშში მითითებულია, რომ „ტერიტორია მდებარეობს აფრიკის და ევრაზიის წყლის და ჭაობის ფრინველების მთავარ სამიგრაციო გზაზე“ და კოლხეთის ეროვნული პარკის სიახლოვეს, რომელიც თავის მხრივ ემთხვევა ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ საიტს (კოლხეთი GE0000006), რამსარის ტერიტორიაზე შემავალ ,,იმნათის უბანს" და ფრინველთათვის მნიშვნელოვან ტერიტორიებს (IBA - GE004 კოლხეთი და SPA - 0 კოლხეთი). აღნიშნული ტერიტორიები უნიკალურია, ხოლო დაგეგმილი პროექტი წარმოადგენს მნიშვნელოვან საფრთხეს საქართველოს ბიომრავალფეროვნებისათვის. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში მითითებული ფაუნის კვლევები, რომლებიც განხორციელდა 2018 წლის 6-10 იანვარს არ არის საკმარისი შესაძლო ზემოქმედების გამოსავლენად და საჭიროა დამატებითი კვლევების ჩატარება სულ მცირე 2 სეზონზე.

- ინფორმაცია იქთიოფაუნის შესახებ არასაკმარისია, რადგან არ ჩანს კვლევის მეთოდები, ხანგრძლივობა და პერიოდი, ასევე გზშ-ში არ არის დაზუსტებული ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე (მდ. მალთაყვასა და მდ. კაპარჭას ტერიტორიაზე დაგეგმილი ხიდების მშენებლობის მიდამოებში) წავის არსებობის შესახებ;

- გზშ-ის ანგარიშში არ არის მოცემული და შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს ტაქსაციის შედეგები და მცენარეების ჭრის შედეგად მიყენებული ზიანის საკომპენსაციო ღონისძიებები;

- დოკუმენტში არასწორადაა ფორმირებული საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ არსებული ზურმუხტის ქსელის საიტის დასახელება (,,კანდიდატის" და ,,ღებულის" ნაცვლად უნდა ეწეროს "დამტკიცებული საიტი");

- ზზშ-ის ჰაბიტატების შემარბილებელ ღონისძიებად მოცემულია არასათანადო ქმედებები. რიგ შემთხვევაში არ არის შემოთავაზებული კვლევის დროს დაფიქსირებულ სახეობაზე შემარბილებელი ღონისძიება (მაგ: დიდი მყივანი არწივი). ამასთან, გაურკვეველია რატომ არის ცხრილში მოცემული ფრინველების გარკვეულ ნაწილზე (რომლებიც კვლევის დროს არ აღმოუჩენიათ) მითითებული შემარბილებელი ღონისძიებები, ხოლო ნაწილზე არა;

- ზზშ-ში და გზშ-ს ანგარიშში მითითებულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია ჭაობის კუს (*Emys Orbicularі*) შესახებ (გზშ-ში წერია რომ კვლევის დროს ნახეს, ხოლო ზზშ-ში პირიქით);

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იქნას გადამუშავებული, სათანადო კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ბიომრავალფეროვნების ნაწილი, სადაც აისახება უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში არსებულ ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე, მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე ინფორმაცია. ამასთან, საჭიროა წარმოდგენილ იქნას ზემოაღნიშნული კვლევების მასალები ფოტოებთან ერთად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო წყვეტს ადმინისტრაციულ წარმოებას. სამინისტრო ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც

დაზუსტდება და სრულყოფილად იქნება წარმოდგენილი ერთიანი, შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული გზშ-ის ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე